№ 243 კვირა, 1 ნოემბერი 1909 წ. № 243

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადებათ ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ.. სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 8 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. უკან დაბრუნებას მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახვა ერთის თვით მხოლოდ ... მოთხრობები. ვირადად მოლაპარაკება ... დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

დაბეჭდვის წინ პირველი გვერდი გაზეთისა დაიპნა და ამის გამო წერილების რიგი შეიცვალა. ზოგიერთი წერილი მეოთხე გვერდიდან პირველ გვერდზე იქმნა გადმოტანილი.

---

**დეკანოზი იოანე იოსების ძე, გიორგი და ალექსანდრე რომანოზის ძენი მრევლიშვილები, დარია რომანოზის ასული ამბოკაძისა, ნინო რომანოზის ასული ბაქრაძისა, მარიამ ივანეს ასული ჭილაშვილისა** და **ნატალია ივანეს ასული შიუკაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას ძმის და დანარჩენნი—ძვირფას ბიძის, უეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, მედიცინის დოქტორის

## სოლომონ იოსების ძის მრევლიშვილისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ავჭალის ქუჩაზე № 12. ცხედრის გამოსვენება 3 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, დაკრძალვა კი კუკიის სასაფლაოზე. (2—528—1)

---

**დეკანოზი აბრამ ბალაშვილი და ეკატერინე ზაქარიას ასული ბალაშვილისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა. ა. წლის 5 ნოემბერს (ხუთშაბათს) ს. ბოდბეში (სიღნაღის მაზ.) სვეტის-ცხოვლის ეკკლესიაში გადახდილი იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის საყვარელ და ძვირფას ძმის-წულის

## ნადეჟდა კონსტინეს ასულის ბალაშვილისა.

წირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი 12-ზედ. (1—525—1)

---

**წარმოდგენა № 12.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 11.**

**კვირას, 1 ნოემბერს, 1909 წ.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ბ-ნ **სვ. სვიმონიძის მონაწილეობით ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.**

## კონსტანტინე ბატონიშვილი

(წამება ქეთევან დედოფლისა)

დრამა 5 მოქმედებად.

პიესისათვის იკერება ახალი ტანისამოსი, იხატება დეკორაციები

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, გ. მატარაძე, შ. საფაროვი, გრიშაშვილი, მურვანიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „კოჩრიანი ტოროლა", „გიორგი მესამე", „ლევან ბატონიშვილი".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 1 ნოემბერს, აღსანიშნავა იმ გარემოებისა, რომ წელს შესრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ა. ცაგარლის მიერ დაიწერა პიესა **„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი სექცია **ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება:

## „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"

დრამა 3 მოქმედებად ა. ცგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

---

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ხელში გადასული

## რუსული აბანო

აბოვიანისეული

რიყის ქ., საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ გაიხსნა. არის ნომრები ელექტრონის განათებით. არის საერთო აბანოები. კეთილ-შობილთათვის და ჩვეულებრივი, ქალებისა და კაცებისა, აგრეთვე სალდათებისათვის. მსურველთ შეუძლიანთ იქონიონ აბონიმენტები დაკლებულის ფასით.

აბანო მოქმედებს დილის 6-დან ღამის 12 საათამდე. ტელეფონი № 718. (5—522—2)

---

**კვირას 1 ნოემბერს,**

გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი

## „საქართველოს მოამბე"

ხელის მოწერა წლის დამლევამდის 75 კაპ. ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის საზოგ. მ. ღაზიაში ვ. ავალიშვილთან. წერილებისა და ფულის ადრესი:

Тифлисъ, гостиница „МУХРАНИ", Головин. д. Манташева, С-мену Васильевичу Киніани.

(2—2) რედაქტორ-გამომცემელი ს. ვ. ყიფიანი.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიართ. განყოფილებით.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10_{1/2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 21/2—21/2 ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქორიძე ტ, ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქიმირ და დედაკაც. ყოვნლ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ვურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოვვლ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღგ, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე,** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 5„ კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათ. საფასურით. (100—б.—27)

---

✦ შემთხვევით ✦

## იყიდება

ორ სართულიანი სახლი, მატერიალნი ქუჩ., № 10, წყნეთის ქუჩის ახლო. იკითხეთ იქვე. (1—1)

---

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთულ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги,

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ , ვენერ., კან. ყოვნლდღე 1—3 საათ,

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ , პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოვყლდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11_{1/2}$—$12^{1/2}$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—б.—111)

---

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.** (50—б.—40)

---

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянских кахетинских виноградовладельцев

„Кахетія"

ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ეგზავნება ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный № 2 (100—б.—11)

---

## საგოქალაქო ან სასულიერო

**სასწავლებელში კურს დამთავრებულს.** ნიჭიერს და მშრომელ ვმაწვილს—მასწავლებელი სიმონ გრიაზნოვი **ამზადებს პირობით გიმნაზიის მე-6-ე კლასისათვის** ისე, რომ შეგირდი წარსდგეს ეგზამენზე მომავალ მაისში ან მარიობისთვეში. აგრეთვე ზემლემრის სკოლის. მსურველთ პირობები ეცნობათ წერილით. Тифлисъ, Вѣра, Измаиловскій пер. N 6. (3—524—1)

---

# ტფილისი, 1 ნოემბერი

ქართულ გიმნაზიის შენობის დამთავრების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია, დაუმთავრებელი დარჩა ეკლესია, გიმნასტიური დარბაზი, საყოველთაო დარბაზი და სასკოლო მუზეუმი. ინსპექტორის სახლისა და საავად მყოფოს აშენებას ხომ ჯერ არც კი შესდგომიან. არ დაუწყვიათ აგრეთვე ელექტრონის განათების მოწყობა. გამგე კომიტეტის გამოანგარიშებით, შენობის დასამთავრებლად საჭიროა 60,000 მან. გარდა ამისა, ბანკში შესატანი სახლის ვალის სარგებელი 31 ათასი მანეთი. და რომ არ შევიტანოთ ბანკში,—ვკითხულობთ კომიტეტის მოხსენებაში,—ბანკი სახლს გაგვიყიდის და ამოდენა ხარჯი, ამოდენა შრომა, ყველას შეწუხება ათი წლის განმავლობაში მუქთად ჩაგვივლისო". შრომა და ხარჯი მართლაც დიდი იყო. შენობაზე დახარჯულა—829,595 მან. 66 კ. და ამა წლის პირველ იანვრისთვის შენობაზე ვალი იყო 541.546 მან. 21 კ. მდგომარეობა უნუგეშოა, მით უმეტესად, რომ თავადაზნაურობა ამ უკანასკნელ წლებში გიმნაზიისათვის იმ თანხას აღარ იმეტებს, რასაც წინად აძლევდა.

ასეა თუ ისე, დღეს ქართულ საზოგადოების წინაშე სდგას ამგვარი პრობლემა: იგი ან შეუწყობს ხელს გამგე კომიტეტს შენობის დამთავრების და ვალების გასტუმრების საქმეში ან ხელს აიღებს შენობაზედ და ქართულ გიმნაზიაზედაც, გააყიდვინებს ბანკს შენობას და უბინაოდ დააგდებს გიმნაზიას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გამგე კომიტეტის მოქმედება ბევრს არ მოსწონს ჩვენში. ნ. ცხვედაძეს აბრალებენ იმას, რომ იმგვარი საქმის გაკეთება იტვირთა, რომლის გასაძღოლადაც ქართულ საზოგადოებას წელი არ მოსდევსო. ისეთი შენობის აგება, რომელიც აგებას დროის მეორე დღესვე უნდა გაიყიდოს, ფუქსავატობის მაჩვენებელიაო. Протягивай ножки по одежкѣ, დასძენენ სკეპტიკოსები.

მაგრამ ამ ჩივილსა და საყვედურში ჩვენ უფრო უმოქმედობის და რუტინის ხმასა ვცნობთ, ვიდრე ცხოვრებასა და პრაკტიკაში გამოცდილ ადამიანთა აზრთ. ევროპიულ საზოგადოებაში, სადაც თვით მოქმედება განვითარებულია, განა ამ გვარ კრიკრიტიკას ექმნებოდა ადგილი. მაგრამ ჩვენს უმოქმედო და აპატიაში იავარდნილ კუთხეში ყოველი ამ გვარი პროტესტი ადამიანს ექვს უბადავს იმაში, რომ აქ საზოგადოებას თითის განძრევა ეზარება, მოქმედება სძულს და ყოველ ინიციატივას ათას გვარ დაბრკოლებას უჩენს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიან ინიციატივისა და მყუდრო და ნაჩვევ ცხოვრების დარღვევისა.

ქართულ გიმნაზიის შენობა დიდი ძეგლია. მართალია ამ შენობას ნახევარი მილიონი ვალი აქვს. მაგრამ თვით-მოქმედების უნარიც სწორედ იმაშია, რომ გამონახოს სახსარი ვალის გასტუმრებისათვის. არ არის სახსარი? უმოქმედო ადამიანის თვალში არ არის. თვით-მოქმედებ კი შემოქმედებაა, გამონახვაა ცხოვრებაში დაფარულ ძალებისა. ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ თუ ქართველ საზოგადოების თვალში ქართულ გიმნაზია საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა, ამ გიმნაზიის შენობის დასამთავრებლად და ვალის გასასტუმრებლად იგი შრომას და შეცადინეობას არ დაიშურებს. შენობა დიდია, უზარმაზარი? რა ვუყოთ. დღევანდელ პირობებისთვის დიდია და მოვა დრო, როდესაც ქართულ კულტურის ზრდასთან ერთად, საჭირო შეიქნება მეორე ამგვარ შენობის აგებაც. ამბობენ, მოსწავლენი მშიერ-მწყურვალნი დადიან და ჩვენ-კი სასახლის მსგავს შენობას ვალევთ ჩვენს ძალ-ღონესაო. სამწუხაროა, რომ მშიერი და შეწუხებული ბევრია. მაგრამ ამ გარემოებიდან სრულიად არ გამომდინარეობს ის აზრი, რომ უნდა ხელი ავიღოთ ყოველივე იმაზე, რაც მშვენიერი და დიდებულია, რაც ალამაზებს და ამკობს უფერულ სიცოცხლეს. სიღარიბეს და გაჭირვებას თავისი მიზეზები აქვს, თავისი ღრმა ფესვები საზოგადოებრივ წყობილებაში. თუ ამ მიზეზს არ შესცვლით, არც სიღარიბეს მოსპობთ. ფულით და ქველმოქმედებით ბრძოლა სიღარიბესთან უნაყოფოა. და თუ ეს ასეა, ნულარ ვაყვედრებთ იმათ, ვინც დახარჯა დიდი ძეგლის აგებაში ისეთი თანხა, რომელიც გვებევრება და გვეუცხოვება, ვხედავთ რა ირგვლივ სიღარიბეს და გაჭირვებას.

ჩვენის აზრით, ქართულ გიმნაზიას განსაკუთრებულის ყურადღებით და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს ჩვენი საზოგადოება. თუ ჩვენში ოდესმე მოეწყობა სწავლა-განათლება ეროვნულ ნიადაგზე, ქართული გიმნაზია იქნება ის დაწესებულება, სადაც მოეწყობა ეს საქმე. და თუ ეს გიმნაზია თავის გარეგნულ მოხაზულობით და დიად აგებულობით დააკმაყოფილებს ჩვენს ესთეტიურ გემოვნებასაც და ჩვენს მისწრაფებას მშვენიერებისადმი, მადლობა უთხრათ იმ ინიციატორს, რომელმაც სძლია დაბრკოლებას და შექმნა არა-ჩვეულებრივი ძეგლი.

ქართველი საზოგადოება აღმოაჩენს წყაროს შენობის დასამთავრებლად და ვალის გასასტუმრებლად.

---

# სპარსეთის ამბები

### ვინ აქეზებს შახსევნებს?

გაზეთ „Times„-ის კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, თეირანიდან დიდძალი ჯარი გაიგზავნა არდებილისკენაო. უკანასკნელი რაზმი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გასულა თეირანიდან. სულ ოთხი ათასი კაცი იგზავნება არდებილში. სპარსელები უკმაყოფილონი არიან რუსეთის მიერ ნაადრევად მიღებულ ზომებისა. თითონ სპარსელებს უნდათ დამოუკიდებლად შეებრძოლონ უთველივე დაბრკოლებას, ჩააქრონ მღელვარება, მოსპონ ავაზაკ-შახსევანთა თარეში და ამით ხალხის თვალში სახელი და თანაგრძნობა მოუპოვონ ახალ მთავრობას.

კორესპონდენტი გადაჭრით ამბობს, სპარსეთის ახალი მთავრობაც და ხალხიც იმ აზრისანი არიან, რომ ავაზაკ შახსევნებს ერთი სახელმწიფოს აგენტები აქეზებენ. უნდათ, წყალი ამღვრიონ, ავაზაკური მოქმედება გააძლიერებინონ თვით სპარსეთის ქვეშევრდომთ ადერბეიჯანის მღელვარების განვითარებას ეს აგენტები ხელს უწყობენ იმ მოსაზრებით რომ მერე შესაძლებელი გახდეს გარეშე შეიარაღებულ ძალის ჩარევა სპარსეთის საქმეებში გამართლონ.

**რეაქციონერების დასჯა.**

ქალაქ მეშედიდან ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, საყოველთაო პარტიების (ამინისტიის) გამოცხადების შემდეგ მეშედში დარსდა „უკმაყოფილოთა:" ახალი პარტია, რომელიც ვერ შერიგებია რეაქციონერების უზომო ვერაგობას, კარგად ახსოვთ, რომ რეაქციონერები რევოლუციის დროს აბეზღებდნენ უდანაშაულო ხალხს და სიკვდილით ასჯევინებდნენ. ეს რეაქციონერები ამნისტიის შემდეგ თავისუფლად დადიოდნენ. უკმაყოფილოთა პარტიიდან შესდგა „შურის ძიების" საიდუმლო კომიტეტი, რომელმაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იმ რეაქციონერებს. რომლებმაც თავი ისახელს რევოლუციონერთა დასჯით. ამ დღეებში „შურისძიების" საიდუმლო კომიტეტმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა რეაქციონებს, რომლებიც ეხლაც არ ისვენებენ და ახალ წყობილების დამკვიდრებას ნიადაგს უთხრიან. განაჩენი 24 საათის განმავლობაში მოიყვანეს სისრულეში სამი რეაქციონერი სადღაც გააპარა. მოკლულთა შორის არის—შაგრაზმელი მუშტეიდი, მექრთამე და რახიმ-ხანის მარჯვენა ხელი ემამ გული-ხანი. ხალხი ძალზე აღშფოთებულია იმით, რომ რეაქციონერები თავისუფლად დათარეშობენ. ცხოვრების დაწყნარება-დამშვიდება ჯერ გვიან არის. ძველი წეს-წყობილების მებაირახტრენი არ ულევენ თავის მტრობას ახალ წესწყობილებას.

**რახიმ-ხანის ვერაგობა.**

შახსევნები რომ დაეცნენ არდებილს, გაანადგურეს, გაძარცვეს და დასწვეს. მძარცველ-ავაზაკთა ბელადი ცნობილი რახიმ-ხანი იყო. ეხლა რახიმ-ხანს შეუტყვია, რომ დიდ-ძალი ჯარი მიდის ავაზაკთა შესამუსრავად, მიჰიდა რუსეთის საკონსულოში და გამოუცხადა მზად ვარ აგინაზღაურთო ის ზარალი, რაც არდებილის აღების დროს რუსეთის ქვეშევრდომთ მოუვიდათო. მოლაპარაკებაა გამართული კონსულსა და რახიმ-ხანს შორის.

---

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო თეატრი.** წელს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად სცენაზე დაიდგა ასიკო ცაგარლის კომედია: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ამ გარემოების აღსანიშნავად ქართული სექცია დღეს საღამოს ზუბალაშვილების სახლში, ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დახმარებით, გამართავს საიუბილეო წარმოდგენას.

წარმოდგენის დაწყებამდის ყვავილებით შემკულ ა. ცაგარლის სურათის წინ წაიკითხავენ იმას მოკლე ბიოგრაფიას. შემდეგ წარმოადგენენ: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". წარმოდგენის დროს იმღერებს მომღერალთა გუნდი და დაუკრავს ზურნა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი-ხალხურია. დასაწყისი რვა საათზე.

---

**ქალაქის მონაწილეობა გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში.** ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს ნ. გაბუნია—ცაგარლის საიუბილეო დღესასწაულში. თუ რაში უნდა გამოიხატოს მონაწილეობა, ამაზე გამგეობა შემდეგ სხდომაზე იქონიებს მსჯელობას.

---

**სახალხო თეატრში მოსიარულეთა საყურადღებოდ.** როგორც მკითხველებმა იციან, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენებს ძალიან ბევრი ხალხი ეტანება. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსიარულეთა შორის ბევრი არ ემორჩილება სახალხოსახლის ადმინისტრაციის მიერ შემოღებულ წესებს. ბევრი თავის ადგილზე არა ჯდება; ზოგი ქალი შლიაპებით შედის, ზოგი ხმაურობს უწესრიგოებას იწვევს. სასურველია, თვით მოსიარულენი დაეხმარონ წარმოდგენების ადმინისტრაციას წესრიგის დაცვაში.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.**

30 ოქტომბერს, მეათე სხდომაზე, სათათბირო, როგორც იყო, შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელსაც დიდი ხანია გვპირდება მთავრობა და რომელიც ადგილობრივ (სოფლის) სასამართლოს რეფორმას შეეხება. ჩაეწერა მრავალი ორატორი—169 კაცი. მომხსენებელია ოქტომბრისტების ორატორი შუბინსკი. მან გააცნო სათათბიროს ძირითადი საფუძველნი პროექტისა. შუბინსკიმ სთქვა, ამ პროექტით მთავრობას აზრადა აქვს აღადგინოს მესამოცე წლებში არსებული სამოსამართლო ინსტიტუტი, რომელიც შემდეგის დამატებებით დამახინჯებულ იქნაო. შუბინსკიმ შეაქო კანონ-პროექტი და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

როგორც ვიცით, დღეს რუსეთში სოფლად არსებობს ეგრედ წოდებული ვოლოსტის სასამართლო და საერობო უფროსი (ზემსკი ნაჩალნიკი). საერობო უფროსს ორი ფუნქცია აბარია—საადმინისტრაციო და სასამართლო. სიმართლე თუ გნებავთ, არავითარი სასამართლო არ არსებობს სოფლად და თითქმის ყველაფერი დამოკიდებულია ადმინისტრატულ პირისაგან—საერობო უფროსისაგან. ის მომრიგებელი სასამართლო, რომელიც ახალ პროექტით ეხლა უნდათ შემოიღონ, მოქმედებდა 1889 წლამდე. პროექტით, მოსამართლეს მთავრობა ნიშნავს.

პირველად ილაპარაკა **იუსტიციის მინისტრმა**. მან დაიცვა პროექტი და ბევრი ლამაზი და კარგი სიტყვა სთქვა. წესიერი სასამართლო ქვა-კუთხედია სახელმწიფოებრივ ცხოვრებისაო. ეხლანდელი სასამართლო არ ვარგაო, კანონი ირღვევაო, მართლ-მსაჯულების გარანტია არ არისო, სოფლის ხალხი დატანჯულიაო, საერობო უფროსებიც თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენო და მრავალი სხვა. ერთის სიტყვით, თითონ ჭეშმარიტება ლაპარაკობდა მინისტრის პირით, რაზედაც დიდი ხანია სწერენ და ლაპარაკობენ მემარცხენე გაზეთები და მოწინავე მოღვაწენი. ჰო და ეხლაო, —სთქვა მინისტრმა,—ახალი კანონ-პროექტი შევადგინეთ, რომელიც ყველა ამ უწესოებას და უსამართლობას ბოლოს მოუღებსო.

**ჩელიშევი** გლეხ. დეპუტატთ ახლად შემდგარ ჯგუფის მეთაური, არ დაეთანხმა მინისტრს, რომ ძველი სასამართლო (ვოლოსტისა) არ ვარგა და ახალი კარგია. პირიქით, ვოლოსტის სასამართლო მშვენიერია და მხოლოდ გაუმჯობესება უნდაო. მთავრობის პროექტითაო, სთქვა მან, გლეხები გაიძევებიან სასამართლოდან, მოსამართლეებად დანიშნავენ ისეთ კაცებს, რომელნიც გლეხობას არ იცნობენო. სხვათა შორის, ჩელიშევმა განაცხადა: მინისტრმა სთქვა, რომ ეხლანდელი ვოლოსტის სასამართლო უვიცი და ლოთიაო. მაგრამ ვინ აარსებს სამიკიტნოებს?—მთავრობა. ვინ ამყოფებს გლეხებს უვიცობაში?—იგივე მთავრობაო. ამ რიგად, ჩელიშევმა სოფლის უვიცობაც და ლოთობაც მთავრობას მიაწერა. ბოლოს ჩელიშევმა წინადადება შეიტანა, კანონ-პროექტი კვლავ კომისიას დაუბრუნდესო. კომისიამ იგი არსებითად უნდა განიხილოს და მხედველობაში მიიღოს გლეხთა მოსაზრებანიო. მაგრამ სათათბირომ უარ-ჰყო ეს წინადადება.

ილაპარაკა სამმა თუ ოთხმა უკიდურესმა მემარჯვენემ და ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ კანონ პროექტისა. ამათის აზრით, რუსეთს მარტო საერობო უფროსიააშენებს.

კადეტმა ჩერნოსვიტოვმა აღნიშნა პატარა, მაგრამ საგულისხმიერო გარემოება: სამინისტროსაო, სთქვა მან, განზრახვა ჰქონდა ეს კანონ-პროექტი ჯერ პირველ სათათბიროში შეეტანა, მერე — მეორეში, და ეხლა, როგორც იყო, მესამეში შემოიტანა. სამინისტრომ ამ ხნის განმავლობაში თანდათან შეზღუდა საარჩევნო საფუძველი, რომელიც კანონ-პროექტს საძირკვლად ედო.

ამით გათავდა ეს სხდომა.

**პრეზიდიუმის არჩევა.**

ამავე დღეს საღამოთი, მეთერთმეტე კრებაზე, მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები. ლაპარაკი ბევრი არაფერი ყოფილა, მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ სათათბიროს უმრავლესობა არღვევს და ყურადღებას არ აქცევს უმცირესობის უფლებას და პრეზიდიუმში არც ერთს მის წარმომადგენელს არ ირჩევსო. ჯერ ტრუდოვიკებმა, მერე სოციალ-დემოკრატებმა და ბოლოს კადეტებმა განაცხადეს, ამ მიზეზის გამო ჩვენ პრეზიდიუმის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებთო.

პირველად აარჩიეს სათათბიროს თავმჯდომარე. ბარათებით დაასახელეს ხომიაკოვი—219 ხმა, როდზიანკო—61, მილიუკოვი—2, გეგეჭკორი—2, ვოლკონსკი, პოკროვსკი, კუჩკოვი, შიდლოვსკი, ეფრემოვი და ფონ-ანრეპი—თითო ხმა. ყველამ უარი განაცხადა, ხომიაკოვის გარდა. კენჭის ყრის შემდეგ ხომიაკოვს ამოუვიდა 212 თეთრი და 93 შავი. ამრიგად, მესამე სესიისთვისაც თავმჯდომარედ ოქტომბრისტი ხომიაკოვი აირჩიეს.

თავმჯდომარის თანაშემწეებად დაასახელეს: თავადი ვოლკონსკი (მემარჯვენე)—252 ხმა, შიდლოვსკი (ოქტომბ.)—161, ანრეპი—19, ეფრემოვი—9, მეიენდორფი—7, გულკინი—5, როდზიანკო—3, გუჩკოვი—3, გეგეჭკორი—5, ჩხეიძე—2, მარკოვ მეორე—2, სტორჩაკი, პურიშკევიჩი და ტიმოშკინი—თითო. კენჭი იყარა პირველმა ორმა. თავ. ვოლკონსკის ამოუვიდა 249 თეთრი და 44 შავი, შიდლოვსკის—190 თეთრი და 101 შავი. ამ რიგად, პირველი არჩეულ იქნა თავმჯდომარის უფროსს თანაშემწედ, მეორე—უმცროსს თანაშემწედ.

დასასრულ, უკვე არჩეულ მდივნის თანაშემწეთაგან დაასახელეს უფროსი თანაშემწე. აქნამდე ასეთად იყო უკიდურესი მემარჯვენე ზამისლოვსკი, მაგრამ კენჭის ყრის დროს უფროს თანაშემწედ არჩეულ იქმნა სოკოლოვი მეორე, ამოუვიდა 167 თეთრი და 112 შავი.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

31 ოქტომბერი

**ოსმალეთი**

**ვენა.** „კორესპონ. ბიუროს" სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ: ახალგაზრდა ოსმალთა ცენტრალურმა კომიტეტმა თავის წევრებს მოწოდებით მიმართა. ცენტრალურ კომიტეტი პარტიის წევრებს უსაყვედურებს, პარტიის საქმეები აღარ გაინტერესებთ, თქვენ ფიცს ღალატობთო. დასასრულ ცენტრალური კომიტეტი პარტიის წევრებს მოაგონებს, პარტიას ხიფათი მოელის და დახმარება გაუწიეთო.

**კრიტი.**

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით, ინგლისის მთავრობას ოსმალეთის მთავრობისთვის ჯერ კიდევ არ გაუცია პასუხი კრიტის შესახებ ნოტაზე. მფარველ—სახელმწიფოებს არავითარი სურვილი არა აქვთ კრიტის ეხლანდელ მდგომარეობას შეეხნენ და დაარღვიონ. ჰფიქრობენ, რომ კრიტის მფარველ-სახელმწიფოები ოსმალეთს წინადადებას მისცემენ გადასინჯოს თავისი მოთხოვნებიო.

**საზღვარ-გარედ**

**კაირო.** (ილლინოის შტატი) 30 ოქტომბერს ბრბომ გაასამართლა ნეგრი, ბრალდებოდა ახალგაზრდა ქალის ძალით გაუპატიურება. ბრბომ ცეცხლში ჩააგდო და დასწვა ბრალდებული. ამის შემდეგ ბრბო გაემართა სატუსაღოსკენ. ბრბო ეძებდა ნეგრის ამხანაგებს. ბრბომ სატუსაღოდან გამოათრია ტუსაღი, რომელსაც ცოლის მოკვლა ბრალდებოდა. ეს ტუსაღი ტელეგრაფის ბოძზე ჩამოახრჩეს. გუბერნატორმა კაიროში მილიციის თერთმეტი როტა გაგზავნა. მილიციამ წესიერება უნდა აღადგინოს.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატის სხდომის დაწყობისთანავე წაიკითხეს პალატის პრეზიდენტის და მისი ორი ამხანაგის წერილი, ჩვენ თანამდებობას თავს ვანებებთ, დამოუკიდებელთა პარტია უმრავლესობას აღარ წარმოადგენს, რადგან კოშუტი და მისი თანამოაზრეები პარტიიდან გავიდნენო. უხუცესმა დეპუტატმა, რომელიც იუსტის მაგიერ თავმჯდომარეობდა, განაცხადა პრეზიდიუმის არჩევანი ხვალ მოხდებაო.

**ფინლიანდიის საქმეები**

**პეტერბურგი.** მოხდა იმ კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წესი და რიგი ფინლიანდიის და რუსეთის საერთო კანონების გამოცემისა. ილაპარაკეს დეიტრიხმა, კორევმა, მიასოედოვმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბოროდკინმა და იაკუნჩიკოვმა. კომისიის ზემოდ დასახელებულ წევრების სიტყვები ფინლიანდელ წევრებს დაწერილი გადაეცათ. როგორც კომისიის წინანდელ კრებიდან გამოირკვა. ფინლიანდელი წევრების აზრით ფინლიანდია რუსეთს 1809 წელს შეერთებია. ფინლიანდიის რუსეთთან შეერთებისთანავე იმპერატორ ალექსანდრე პირველს გამოუცია მანიფესტი, რომლითაც ფინლიანდიისთვის განსაკუთრებული კონსტიტუცია მიუნიჭებია. ამ კონსტიტუციის გარეშე კანონის გამოცემა არ შეიძლება. კონსტიტუციის შეცვლა მხოლოდ ფინლიანდიის ხალხს შეუძლიან. დეიტრიხის სიტყვით იმპერატორ ალექსანდრე პირველს არას დროს არ გამოუცია ასეთი მანიფესტი. მართალია ფინლიანდიის კონსტიტუციის შესახებ პროექტი შეადგინეს, მაგრამ პროექტი პროექტადვე დარჩა. არც ერთ მანიფესტში რუსეთის ხელმწიფეები არავის დაჰპირებიან ჩვენ და ჩვენი მოადგილეები არ შევცვლით ფინლიანდიის წესწყობილებილებასო. თუნდაც რომ ფინლიანდელებმა თავიანთ კონსტიტუციის შეურყევლობა სახელმწიფო აქტებზე დაამყარონ, მაშინაც მათი აზრი უსაფუძვლოაო: ყველგან და ყველაფერში სახელმწიფოს ინტერესები უნდა იყოს გამეფებული, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს წინედ მიცემულ პრივილეგიების გაუქმება. მაგრამ ფინლიანდიის პრივილეგიები არა აქვს. კომისიის ფინლიანდელ წევრების პროექტი სახელმწიფოს მთლიანობის არღვევს. მათი პროექტი წინადადებაა რუსეთის აწ არსებულ წესწყობილების შეცვლის შესახებო. კარევის სიტყვით კომისიის ფინლიანდელ წევრების პროექტი რუსეთის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება. ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ფინლიანდელებს უნდათ, მარტო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის შეიძლებაო. მიასოედოვის აზრით, რუსეთი, როგორც უზენაეს უფლების მქონე სახელმწიფო, თვითონ უნდა განსაზღვრავდეს თავის შემადგენელ ნაწილების ავტონომიის საზღვრებს და კომპეტენციას. გენერალ ბოროდკინმა განაცხადა, ფინლიანდიის უფლება არ უნდა ჰქონდეს იმპერიის დაცვის საქმეში ჩაერიოსო. ეს საკითხი რუსეთის მთავრობის კომპეტენციას უნდა შეადგენდეს და ფინლიანდიაც მას უნდა ემორჩილებოდეს ამ საკითხშიო. იაკუნჩიკოვი მიემხრო კომისიის დანარჩენ რუს-წევრების აზრს და სთქვა, ფინლიანდიას უფლება არ უნდა ჰქონდეს ჩაერიოს რუსეთის მთავრობის საქმეში უცხოელ სახელმწიფოებთან ხელ-შეკრულობის დადების დროსაო.

**რ უ ს ე თ ი**

**ბლაგოვეშჩენსკი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია ხუთი კაცის საქმე. ბრალდებოდათ ტელეგრაფზე გაფიცვის მოხდენა. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

**კიევი.** ქალაქ სკვირში თევზით მოიწამლნენ პოლიციელი, ქალაქის გამგეობის წევრი, სოფლის სამმწერალი, ორი მამასახლისი და თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლის მწერალი. ქალაქის გამგეობის წევრი, პოლიციელი და წინამძღოლის მწერალი გარდაიცვალნენ.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციამ პოლონელ მემუსიკეების საზოგადოებას ნება დართო, 15 დეკემბერს ვარშავაში მოიწვიოს პოლონელ მემუსიკეების კრება.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2, ავად არის 154 კაცი.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

**ოთხი ლექცია.** დღეს, 1 ნოემბერს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ოთხი ლექცია ერობის შესახებ. ლექციებს წაიკითხავენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ხატისოვი, გვაზავა და მილიუტინი.

**ხალხური ზღაპრები.** გამოვიდა ორი დიდი ტომი ხალხური ზღაპრებისა, გამოცემა ამხანაგობისა. ეს ზღაპრები შეკრებილია თედო რაზიკაშვილის მიერ. ერთ ტომში მოქცეულია ქართლში შეკრებილი ზღაპრები, სულ 107 ზღაპარი და ლეგენდა, მეორეში—კახეთსა და ფშავში შეკრებილი, სულ 87 ზღაპარი და ლეგენდა. ორივე წიგნი დიდი ტანისაა. ერთი შეიცავს 266 გვერდს, ხოლო მეორე 252 გვერდს. ეს გამოცემა დაუფასებელი განძია. ხალხის ნაწარმოებიდან ჯერ თითქმის არაფერი გვაქვს შეკრებილი და გამოცემული, მით უფრო სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ გამოცემებს. თითო წიგნის ფასი 75 კაპეიკია, რაც იაფად უნდა ჩაითვალოს ამ ზომის წიგნისთვის.

**ახალი გაზეთი.** ამ თვის პირველ რიცხვებში ვლ. თავართქილაძის რედაქტორობით გამოვა ახალი რუსული ყოველ-დღიური გაზეთი „ნაშ კრაი" („ჩვენი მხარე"). გაზეთი პროგრესიულ მიმართულებისა იქნება. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობ-

# მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

3.

**გენერალ-მაიორის ივ. პეტ. ლაზარევის მოკვლა.**

მარიამ დედოფალი მეორე ცოლი იყო საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი მეცამეტისა, ასული გიორგი ციციშვილისა. მარიამი სულ 13 წლისა იყო, როცა გიორგიმ ცოლად ითხოვა, სახით მეტად მშვენიერი და ლამაზი, ხასიათით მხნე და გულადი ადამიანი. მარიამისაგან გიორგის ეყოლა შემდეგი შვილები: მიხეილ, ჯიბრაილ, ილია, სვიმონ (ეს ორივენი პატარაობაში დაიხოცნენ), ირაკლი, თამარ, ანნა (მოკვდა სიყრმეშივე), ანნა მეორე. გიორგის დიდი ოჯახი ეხლა უფრო გამრავლდა. წინა ცოლისაგან 9 შვილი ჰყავდა: დავითი, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე და გაიანე.

საკვირველად მრავალ-რიცხოვანი ოჯახობა ჰყავდათ საქართველოს ორივე უკანასკნელ მეფეს, ირაკლისა და გიორგის. თუ გიორგის 18 შვილი ეყოლა, ირაკლის, რომელიც სამჯერ იყო შეუღლებული, უფრო მეტი ჰყავდა. ეს ამოდენა რიცხვი მეფის ძეთა და ასულთა დანათესავებული იყო საქართველოს წარჩინებულ და დიდებულ პირებთან: ბევრს ქალი ჰყავდა ნათხოვნი სამეფო სახლობიდან, უმრავლესობა ბატონიშვილთა კიდევ სიძეებად მოჰხვდებოდათ მათ. ერთის შეხედვით სამეფო სახლობის მდგომარეობა და მასთან ერთად მთელ სამეფოსი ძლიერი და უზრუნველი უნდა ყოფილიყო: დიდს მონათესაობას, საქართველოს ყოველ კუთხეში ქსელსავით მოდებულს, მჭიდრო დამოკიდებულობა და ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ერთმანეთში და საერთო ძალით ემოქმედნათ სამეფოს აღორძინებისათვის. ნათესაობას საქართველოს ძლიერსა და გავლენიანს ფეოდალებთან, სხვა რა ნაყოფი უნდა მოეტანა, თუ არ უაღრესად განმტკიცება ერთობისა და სიყვარულისა. მაგრამ ბედკრულს საქართველოში ყველაფერი უკუღმართად ხდებოდა, რაკი ერთხელვე მოიშალა სახელმწიფოს მექანიზმი. ამგვარმა ქსელსავით მთელს საქართველოში გაბმულმა ნათესაობამ მწარე შედეგი მოუტანა ქართველობას. მეფის მონათესავეთ თავი მოჰქონდათ სამეფო სახლობასთან დაახლოვებით, სხვებს არაფრათ აგდებდნენ, არაფერს უგონებდნენ მეფის მოხელეთ, მოურავთ, ციხის მცველებს, მდივნებს და სხვათა. დარწმუნებულნი, რომ ყველაფერი დაუსჯელად ჩაუვლიდათ, ათას არა საკადრისს საქმეს სჩადიოდნენ და არავისი შიში და რიდი არა ჰქონდათ. ამან უფრო დასცა და მოაუძლურა ისედაც არაჭათ გამოლეული საქართველო, რომელიც იძულებული იყო ძლიერ რუსეთისთვის გაეწვდინა ხელი. რუსეთმაც, როგორც წინა წერილებიდან ვიცით, შეაერთა საქართველო. რომელიც თავდაპირველად მარტო ვასალურს დამოკიდებულებაში იყო რუსეთთან, შემდეგში კი გუბერნიად აქცია, მოსპო მასში მეფობა და ეხლა სამეფო სახლობას უგებდა ანდერძს და აღარა სურდა მისი ბატონობა საქართველოში.

რაკი ერთხელვე დაჰბერა ჩრდილოეთის სუსხმა სიომ საქართველოს სამეფოს, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო, ვიდრე ძირიან-ფესვიანად არ მოსპობდა პოლიტიკურ თვითარსებობის ნასახსაც კი. ეს მრისხანე სიო ისე ძალუმადა ჰბეროვდა, რომ აღარავისი გარჩევა აღარ უნდოდა, არც დიდისა, არც პატარასი. თუ წინანდელ გამგეს საქართველოისას კნორინგს ვერ მოეხერხებინა ეს საძნელო და სახიფათო საქმე, ახალ გამგეს საქართველოსას თავად პავლე ციციანოვს—მრისხანე, მარჯვე და შეუპოვარ ადამიანს, რომლის დევიზსაც შეადგენდა, „ვისაც ძალა აქვს ხელში, ის სუსტს ხათრს არ უნახავს, არამედ ბრძანებლობსო",—სურდა ერთის დაკვრით მოეშორებინა სამეფო სახლობის წევრნი საქართველოდან და რუსეთის გზისთვის გაეყენებინა.

სამეფო სახლობიდან საქართველოში, ე. ი. ქართლ-კახეთში, მაშინ არავინ მოიძებნებოდა, გარდა მცირე-წლოვან გიორგის ძეთა და ქვრივ დედოფლების მარიამისა და დარეჯანისა. დედოფალი დარეჯანი ყველაზე საშიშარ ადამიანად იყო მიჩნეული და მეთაურად ითვლებოდა ყოველივე აჯანყებისა და ამბოხებისა. ციციანოვმაც ეხლა თვალში დარეჯანი და მარიამი ამოიღო.

ბატონიშვილების ვახტანგისა და დავითის გადასახლებამ ერთი აურზაური ასტეხა მთელს საქართველოში, მაგრამ ვინ მოიფიქრებდა, თუ მათივე დღე დაადგებოდათ მოხუცებულ დედოფალს დარეჯანსა და მით უმეტეს წვრილ შვილის პატრონს მარიამს, რომელიც არავითარ სამეფო საქმეებში არ ერეოდა და თავისთვის სცხოვრობდა. მისი ოჯახობა შვიდის ერთმანეთზე მიყოლებულ წვრილ ყრმათაგან შესდგებოდა, რომელთაგანაც ორი ჯერ კიდევ ძუძუსა სწოვდა და მეტად სამძიმო და აუტანელი იქნებოდა შორის გზის გადგომა. მაგრამ ციციანოვი, აშკარა იყო, თავისას არ დაიშლიდა და ყოვლის ძალ-ღონით ეცდებოდა მათ საქართველოდან მოშორებას. ციციანოვმა წერილობით მიჰმართა ორივე დედოფალს და წინადადება მისცა, რუსეთს წასულიყვნენ. დარეჯანმა შეუთვალა, ავადა ვარო და ვერ წავალო, თუმცა წინაცაც მინდოდა მე თითონ წასვლა და ამის შესახებ მიწერ-მოწერაცა მქონდა გამართული, მაგრამ ეხლა დაბერდი და დავუძლურდი და მაგდენ მგზავრობას ვეღარ ავიტანო. ციციანოვს არა სჯეროდა მისი ავადმყოფობა, ალბად ავადმყოფობას იმიტომ იგონებს, რომ საქართველოში დარჩეს და ჩვეულებრივ არეულობა-უწესოებას მეთაურობა გაუწიოსო.

დედოფალმა მარიამმა წერილი მისწერა ციციანოვს, რომელშიაც, იხსენიებდა რა თავისს მეუღლის მეფის გიორგისაგან საქართველოს მორთმევას რუსეთის იმპერატორისათვის, აგონებდა თავისს გაჭირვებულ მდგომარეობას და შეუძლებლობას ამოდენა წვრილ-შვილით რუსეთში გადასახლებისას. ჩემი დაავადმყოფებული შვილები და მე ვერ ავიტანთ ეგზომ მოგზაურობას და გზაზედვე ამოგვივა სულიო. დედოფალი არ ივიწყებდა მის მონათესაობას (მარიამ დედოფალიც ციციშვილის ქალი იყო) და სცდილობდა ამითი მაინც მოელბო როგორმე ციციანოვისათვის გული. საქართველოც ხომ რუსეთთან ეხლა, ამბობს დედოფალი, და თუ იმპერატორს სურს რამე მოწყალების მოღება ჩვენთვის, აქაც არ დაგვივიწყებს და ყველაზე უკეთესი მოწყალება კი ის იქნება, აქ დაგვტოვოსო.

ამასთან დედოფალმა იმპერატორის სახელობაზედაც გაუგზავნა ციციანოვს თხოვნა პეტერბურგში გასაგზავნად. იმპერატორს, სხვათა შორის, ასე სწერს დედოფალი: „მე, სამეფოს მაძიებელი არა ვარ, შვილები ჩემნი არც მემკვიდრეობით და არც ჯანმთელობით მახლობელნი არ არიან სამეფო ტახტისაო. ამაში დარწმუნებულია მთელი საქართველო და აქ მყოფი რუსეთის მხედრობა.

„მერწმუნეთ, იმდენად დაავადებული ვარ, რომ ფეხის გადადგმაც კი ხეირიანად არ შემიძლიან, ვძევარ გამუდმებით სარეცელზე და დღენი ჩემნი დათვლილია.

„ჩემი შვილებიც ზოგან ავადმყოფნი არიან და დიდი დღე არ უწერიათ, ზოგნი კიდევ ძუძუმწოვარაა და სულ ქორფა. ამიტომ ვსთხოვ თქვენ იმპერატორობით უდიდებულესობას, რათა ესოდენ უბედურობით ალსავსეს, ნება მომცეს, ჩემის შვილებით დავრჩე სამშობლო ქვეყანაში და მეღირსებოდეს დამარხვა ჩემს განსვენებულ მეუღლესთან ერთად"...

მიიღო რა ორივე დედოფლისაგან უარი, ციციანოვმა განიზრახა თითონვე, საკუთარის თვალით დარწმუნებულიყო დედოფლების ნათქვამში. ამიტომ შეურჩია ერთი უქმე დღე და ვითომ დღესასწაულის მისალოცად მივიდა მათთან. მოულოდნელად დედოფალი დარეჯანი მართლა ავად დახვდა[1]). ციციანოვმა გული დაიმშვიდა და ჯერჯერობით თავი გაანება დარეჯანს. ჯერი მიდგა მარიამ დედოფალზე. ციციანოვი სცდილობდა ყოველ მხრივ შეევიწროვებინა დედოფალი, საქმე გაეჭირვებინა მისთვის და იძულებული გაეხადნა, თითონვე განეცხადებინა სურვილი წასვლისა. იმპერატორის სახელობაზე გაგზავნილ თხოვნაზე თითონ ციციანოვმა უპასუხა და მისი პეტერბურგში გაგზავნა მეტად ჩასთვალა. გარდა ამისა მისწერა, რომ რადგან დღეიდან რუსეთში გეძლევათ ადგილ-მამული და ყმა, უფლება აღარა გაქვთ საქართველოში თქვენის მამულების განგებლობისაო. თქვენი საუფლისწულო მამული, წინწყარო იჯარით უნდა მივცე გენერალ ორბელიანსა და ფული ხაზინაში შევიტანოო. მაგრამ ესეც არ აკმარა ციციანოვმა თავისს ნათესავს მარიამ დედოფალს. დედოფალმა მოინდომა თავისს სასახლის გაყიდვა, მაგრამ ამ საქმეში ჩაერია და

1) Акт. археогр. ком. т. 1.

რივი და სატახტო ქალაქის მწერლები.

✦ **საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** დღეს, საღამოს რვა საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულო დარბაზში მოხდება ჩვეულებრივი საზოგ. დო კრება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებისა. წაკითხული იქნება ს. გორგაძის-მიერ რეფერატი: „მირიან მეფე და მისი უახლოესი მემკვიდრეები“. კრებას შეუძლიათ დაესწრონ აგრეთვე გარეშენიც.

✦ **ახალი ჟურნალი.** დღეს გამოვა ახალი ჟურნალი: „საქართველოს მოამბე“ შემდეგის შინაარსით: „კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის“ ფ. გოგიჩაიშვილისა. „ღამე“, ლექსი კ. მაყაშვილისა. „მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან“, ივ. ვართაგავასი. შინაური მიმოხილვა. „მიხმარე ფარად“, ლექსი ი. გრიშაშვილისა. „ერის უფლება“, Baton-ისა. „მთის არწივი შამილი“, ა. ფრონელისა და „ქართულ სამართლის ისტორია“, ივ. ჯავახიშვილისა.

✦ **ექსკურსია.** გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფენი, 30 კაცი, მასწავლებლების გარსევანიშვილისა და რომბაქიძის ხელმძღვანელობით, გუშინ მოწაფეებმა დაათვალიერეს ტფ. ქართული გიმნაზია, ფუნიკულერი, მამა დავითში— საფლავები განსვენებულთა ილია ჭავჭავაძისა, დიმიტრი ყიფიანისა და გრიბოედოვისა. გაიცნეს წ.-კითხვის მუზეუმი და ბიბლიოთეკა და სხვა. ექსკურსანტები დღეს დაათვალიერებენ ქართულ საეკლესიო მუზეუმს სიონის ტაძრის გალავანში, წავლენ კრწანისში იმ ადგილას, სადაც ირაკლი მეფეს საქართველოს ბედის გადამწყვეტი ომი ჰქონდა აღა-მაჰმად ხანთან, დაათვალიერებენ კავკასიის მუზეუმს და ტფილისის სხვა შესანიშნავ ადგილებს. ექსკურსანტები დღეს საღამოთი დაბრუნდებიან ქუთაისს.

✦ **დაპატიმრება.** „რუსკ. სლოვო“-ს დონის-როსტოვიდან დეპეშით ატყობინებენ: 26 ოქტომბერს დააპატიმრეს ალექსი მუნტიანი. მუნტიანი დეზერტირია. 1906 წელს ტფილისში მუნტიანი პოლკ ს ფულიან ყუთის დარაჯად დანიშნეს. მუნტიანმა მოჰკლა მეორე დარაჯი, გაიტაცა დიდი ფული და მიიმალა. ფულის გატაცება მუტიანმა სხვა დარაჯებთან ერთად მოახერხა. მისი ამხანაგები სხვა და სხვა დროს დაპატიმრეს და გაასამართლეს.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 2 ნოემბერს ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს 10-მდე მიმდინარე საქმე. საბჭო განიხილავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ქალაქმა ადგილი დაუთმოს სამასწავლებლო სემინარიას, რომელიც გორიდან ტფილისში გადმოაქვთ.

✦ **ფილოლოგთა სხდომა.** დღეს საღამოსთვის დანიშნულია სხდომა ქართველ და სომეხ ფილოლოგების ბიუროსი. სხდომამ უნდა განიხილოს რამდენიმე საკითხი ენათ მეცნიერების კრების მოწვევის შესახებ.

✦ **დამტკიცება.** ტფ. გუბერნატორმა თანამდებობაზე დაამტკიცა თელავის ქალაქის თავად არჩეული მ. კ. თათევოზოვი.

✦ **დანიშვნა.** „ტფ. ლისტ.“ სიტყვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკომერციო ნაწილის განყოფილების უფროსად დაუნიშნიათ ვ. ვ. აშჩეულოვი. აშჩეულოვი ამიერ-კავკასიის რკინის გზების მოძრაობის უფროსის თანაშემწედ იყო.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ხვალ, 2 ნოემბერს, მიმდინარე საქმეების განსახილველად მოხდება ჩვეულებრივი სხდომა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. მოჩხუბარიძის (ყაზბეგის) ისტორიული დრამა კონსტანტინე ბატონიშვილი (წამება ქეთევან დედოფლისა), 6 სურათად. დასდგავენ პირველ მოქმედებასაც, ლავერდის დღესასწაულს.

✦ **სესხის განაღდება.** $3\frac{1}{2}$ მილიონის სესხის ობლიგაციების გასანაღდებლად მოლაპარაკება გამართა ქალაქთან სამზღვარ-გარეთის კაპიტალისტების წარმომადგენელმა ფლაკემაც. პირობების უზრუნველ საყოფლად ბ-ნ ფლაკემ ბედ ქალაქს 100,000 მან. აღუთქვა.

✦ მართალი გამოდგა ის ხმა, ვითომ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საქმის მწარმოებელი სტრატონოვი ერევნის ვიცე-გუბერნატორად გადაჰყავთ.

✦ 30 ოქტომბერს დააპატიმრეს სენაკის მაზრის მცხოვრები ტრიფონ სულავა, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში.

✦ 30 ოქტომბერს ბოიდარის ქუჩაზე ტფ. მოქალაქეს ნოქარს ავეტიქ შახნაზაროვს მოკვლა განუზრახავს ახლად ჯარში გაწვეულ გრიგოლ დავიდოვისა და რევოლვერი დაუმიზნებია, მაგრამ იგი არ გავარდნილა, შახნაზაროვი დაუპატიმრებიათ. მიზეზი მოკვლის განზრახვისა პირადი მტრობა ყოფილა.

✦ 30 ოქტომბერს ტფ. მოქალაქეს მეხტი რიუნოვს პოლიციაში გამოუცხადებია, რომ ბორჩალოს მაზრის სოფელ სარვანიდან 25 ოქტომბერს გაიტაცეს ჩემი ძმისწული, ქალი ათი წლისა, ანნა ხანუმ რუსტამ კიზიო. პოლიცია შეუდგა ძებნას და მოტაცებული ქალი აღმოაჩინა ყაზახის მაზრის მცხოვრების სულეიმან საფი ოღლის სახლში. ქალი გაუტაცნია ალექპერ ურუჯ ოღლის, რომელიც სადღაც მიიმალა. მოტაცებული ქალი პატრონს დაუბრუნეს.

# გრიგოლ რომბაქიძის ლექციებზე

(დასასრული*)

მეორე ლექცია იყო ბარათაშვილზე. ეს ლექციაც, შედარებით წინანდელ ლექციებთან, სუსტი იყო. მეტადრე პირველ ორ ნაწილში იგი ძალიან კოჭლობდა, თითქოს რომბაქიძეთ ვეღარა სცნობდით სცენაზე. მხოლოდ მესამე ნაწილში ჩაჰბერა ისევ ცხოველი სული. პოეტურის აღფრთოვანებით ისევ დაიწყო გრძნობით ბაასი და ცოტა ხნით კიდევ განვიცადეთ ესთეტიური სიამოვნება, აღტაცება, შედარებით კიდევ უფრო სუსტად, ვიდრე წინანდელ ლექციებზე.

საინტერესოა თვით მსმენელთა აზრი ბ-ნ რომბაქიძეზე. აკაკის ლექციაზე მისი მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც აღტაცებაში იყვნენ და ქებას ასხამდნენ. ბარათაშვილის ლექციაზე კი მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც, თითქმის ახლო ნაცნობებიც ყველა უკმაყოფილო იყო. აკაკიზე იგი გააღმერთეს უფრო მეტად ვიდრე ვკუთვნოდა. ხოლო ბარათაშვილზე უფრო ულმობელად მოეპყრნენ ვიდრე ღირსი იყო, თუმცა ეს ულმობელობა სრულებითაც არ ეტყობოდა, როცა გაცხარებულ ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ მას.

ქართველებს ერთი თვალის მომჭრელი, ბრბოსებური თვისება გვაქვს. თუ მოგვეწონება ვინმე—უნდა ღვთაებად გადავაქციოთ, თუ დავიწუნებთ კი—უბრალო მომაკვდავადაც აღარ დავტოვებთ. ქვესკნელში უნდა ჩავაძვრინოთ ხოლმე. მართალია, ბ-ნ რომბაქიძის მიმართ უკანასკნელ ზომამდის არ მისულვართ. არც სასურველია, რომ მივიდეთ. მაგრამ მაინც ურიგო არ იქნება, რომ ბ-ნმა რომბაქიძემ ანგარიში გაუწიოს ქართველთა ამ თვისებას, ისე, ყოველ შემთხვევისთვის... რომბაქიძეს, მართალია, სიამოვნებით უსმენენ, მაგრამ იგი მაინც ჯერ ისეთი ავტორიტეტი არ არის, რომლის ყოველი აზრიც ჭეშმარიტებად მიაჩნდეთ და ციტატებად ხმარობდნენ. და თუ შეცდომას მაინც შეამჩნევენ, მაინც თავისუფლად აპატიებენ ხოლმე.

აი, მაგალითად, შარშან აკაკიმ შოთაზე რომ ლექცია წაიკითხა, ბევრი შეუწყნარებელი აზრი წარმოსთქვა. იგი იძახდა: მხოლოდ რუსთა შემოსვლამ განამტკიცა ჩვენში ბატონყმობა, მანამდის კი წმინდა მამა-შვილური განწყობილება სუფევდაო, რომ ჩვენში არა ყოფილა წოდებათა წინააღმდეგობა, ბრძოლა, როგორც ძველ საბერძნეთში, რომშიო. ამ აზრის საფუძვლიანად დასარღვევად უკვე საკმაოდ პოპულიარული ისტორიული საბუთები მოიპოვებიან ქართველთა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ცხოვრებიდან. მაგრამ აკაკის ამაზე არავინ არ უკიჟინა. პირ-იქით, იმის ლექციიდან ყველა კმაყოფილი გაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ მის აზრ იქ ხუთი კაციც არ დაეთანხმებოდა. რომბაქიძეს ჯერ კრიტიკულად ვუცქერით, მისი ყველა ნათქვამი ჭეშმარიტებად არ მიგვაჩნია და არც ყველა შეცდომას ვაპატიებთ. ეს თვითონაც კარგად უნდა იცოდეს.

უკანასკნელი მისი ლექცია იყო სქესსა და სიყვარულზე, ეს იმის ყველა სხვა ლექციაზე სუსტათ ჩაითვლება. ამას თვითონაც ჰგრძნობდა სცენაზე და ჰხედავდა, რომ მსმენელნიც ჰგრძნობდნენ მის გრძნობას. მეორე ნაწილს კიდევ არა უშავდარა. საერთოდ მან ბოლოში კარგად იცის ხოლმე გამოკეთება. პირველი ნაწილი კი არაფერს არ წარმოადგენდა არც თავის სილამაზით არც თავის ორიგინალობით. რაც იმან იქა სთქვა, მართალია, ეს არ აღუნიშნავს, მაგრამ ყველა ეს დაწვრილებით აქვს იმავე ვეინინგერს თავის კაპიტალურ ნაწარმოებში „სქესი და ხასიათი“. იგი ანვითარებდა ვეინინგერის აზრს, რამდენადაც ზეპირად და ისე მოკლეთ შესაძლო იყო, ისევ ვეინინგერისავე სიტყვებით. თუ ვისმე აზრს ეთანხმება და ანვითარებს კაცი, აქ სათაკილო არაფერია. მაგრამ, როცა საფუძვლიანად სარგებლობს კაცი სხვის აზრით, მე მგონი, უკეთესი იქნება ყოველთვის აღინიშნოს პირველი წყაროც, რადგან უიმისოდ იმის საკუთარ, ორიგინალურ შეხედულებად მიიღებს მსმენელი. ეს არის მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა, რადგან, მე მგონი, თვითონ ბ-ნი რომბაქიძეც არ უნდა გასწყრეს.

რაც შეეხება თვითონ გადმოცემის შინაარს, მასში ცოტა შეცდომაც იყო. იგი ამბობდა: ადამიანი არ წარმოადგენს მთელს, იგი წარმოადგენს ან ნახევარს ან მთელის რომელსამე ნაწილს იგი ეძიებს ქვეყნად ამ თავისს დანაკლისს, სცდილობს იქცეს მთელად, დამთავრებულ ერთეულად და ამ სიმთავრეს კი ჰპოვებს მოწინააღმდეგე სქესშიო.

შეიძლება დიდმა უმრავლესობამ აგრე გაიგოს ვეინინგერის აზრი, მაგრამ ნამდვილად კი იგი სხვას ამბობს: ადამიანი თავის პიროვნულ საზღვრებში წარმოადგენს მთელს, მხოლოდ ეს მთელი შესდგება ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებისაგან, მამობრობისაგან და მდედრობისაგან, რომ ყველა ადამიანი არის მამაკაციც და დედაკაციც, მაგრამ იგი ქვეყნიურ ასპარეზზე წარმოადგენს ცალად დარჩენილს. ქვეყნიურ პროცესში, ცხოვრების განვითარებაში კი საჭიროა ეს სხვა-და-სხვა თვისებისაგან შემდგარი მთელი **დაწყვილდეს**, და, ამგვარად, შეადგინოს ახალი ერთეული, უმაღლესი სიმთავრე. ამ სიმთავრეს კი სპობს მოწინააღმდეგე სქესში, რომელიც ავსებს, როგორც მის მამობრივ, ისე მის მდედრობრივ დანაკლისს. ამგვარად, დაწყვილებული და ერთად ქმნილი კავშირი შეადგენს ჯამს მთელის მამაკაცისას და მთელის დედაკაცისას.

**მხოლოდ ეს ორი მთელი, ორ სქესის მეტ-ნაკლებობით შევსებულ-შეზავებული დაწყვილებულ და ერთ ძალად ქმნილი წარმოადგენს იმ რეალურ ერთეულს, იმ განუყოფელ ძალას ქვეყნიურ პროცესში, ცხოვრების განვითარებაში, რომელიც ითვლება უმთავრეს წყაროდ მომავალ სიცოცხლისა და კაცობრიობის არსებობისა.**

აი ეს არის მოკლედ ვეინინგერის აზრი. ბ-ნმა რომბაქიძემ კი ეს ცოტა სხვანაირად დაგვანახვა.

მოკლედ ეს არის შთაბეჭდილება გრიგოლ რომბაქიძის ხუთი ლექციიდან და გულწრფელად ვუსურვებ, რომ მომავალში მოგვევლინოს იგი ისე, როგორც აკაკის და არა როგორც ილიას საღამოზე.

**ლევ. მეტრეველი.**

*) იხ. „დროება“ N 242.

# ძველ ნაშთებს მონახვა და მოვლა უნდა

ყველამ იცის, რა მდიდარია ჩვენი ქვეყანა ძველი ისტორიული ნაშთებით. ეს ნაშთები, რომელიც მოწმეა ჩვენი ერის კულტურულ განვითარებისა და წარმატებისა, გაფანტულია საქართველოს ყველა კუთხეში. ბევრი მათგანი ჯერ გამოუკვლეველის მცოდნე პირთაგან. ძველ მონასტერთა და ტაძართა გარდა, რომელნიც თავიანთ მოყვანილობით, სიდიადით, ხუროთ-მოძღვრობით და ჩუქურთმებით აკვირვებენ დღესაც ყველას, ჩვენ ძველებურ თავად-აზნაურთა ოჯახებში ინახება ოქროსი და ვერცხლის ძველის-ძველის სამკაული, ოჯახში სახმარი მოჩუქურთმული თასები, ბადიები, აზარფეშები, სურები, ღვინის სასმელი ჭიქები თუ ყანწები, რახტები, ხელოვნურად ვერცხლის ძაფით ნაკერი მორთულობა ქალისა გინდ კაცისა, ოქრომკედით მოქარგული ყაჯრები, ანჩები, ქულაჯები, ქოშები და მებრვე ბევრიც სხვა. საუბედუროდ, ბევრი მათგანი ჩვენის ბედოვლათობისა და დაუდევრობისა გამო გამოგვეცალა ხელიდან და დღეს უცხოელების საკუთრებას შეადგენს.

ძალიან ცოტაღა დარჩა და ამ ცოტასაც მონახვა და მოვლა უნდა, ვინაიდან ამ ნივთებზე ხშირად ისტორიისათვის სასარგებლო წარწერებია და, ამას გარდა, თავიანთის მოყვანილობით თუ ხელოვნურის ჩუქურთმით შესანიშნავ ნაშთს შეადგენენ ჩვენის ერის ხელოვნურ განვითარებისას.

ამ ნივთებს გარდა დიდძალი ძველის-ძველი ხელთნაწერი წიგნია დარჩენილი მონასტრებში, ეკლესიებში თუ ოჯახებში და ყველა ეს ლპება უწყალოდ. მაშინ როდესაც ისინი დიდ განძ შეადგენენ იმავე ისტორიისათვის. მე თითონ ხშირად შევხვედრივარ კახეთში თუ ქართლში ძველ ოჯახებში ეტრადზე ნაწერ ძველ წიგნებს, ძველის-ძველ ლექსად თქმულ ნაწარმოებს, „ვეფხვის ტყაოსანს“ და კარაბადინს, ე. ი. წიგნს, რომელშიაც სწერია ყოველნაირ ავადმყოფობის წამლობა, მოშეტებულ ნაწილად ბალახებისაგან შემდგარი. ეს კარაბადინებიც, გგონებ, დიდ განძს უნდა შეადგენდნენ ჩვენის ექიმებისათვის. ბევრნაირ ავადმყოფობის უებარ წამალს იმოიკითხავს ექიმი ამ წიგნებში.

ძალიან ხშირად, სადაც [illegible] მინახავს ძველი წიგნები და [illegible] [illegible]

ზოგს შემოსავლის წყაროდა აქვს გადაქცეული ეს ძველი წიგნები და ატყუებს უმეცარ ხალხს. ამისთანა შემთხვევის მოწმე მე თითონ გახლავარ. ამ რამდენიმე წლის წინად კახეთში ყოფნის დროს, ერთის დიაკვნისაგან შევიტყე, რომ ძველ-გავაზში (სოფელია) ერთი დრმად მოხუცებული დედაკაცი რადაცა პატარა წიგნის ძალით ავადმყოფებს არჩენსო. ამავე დიაკვანსა ვთხოვე და წამიყვანა იმ დედაკაცთან; თან მითხრა, თუ თავი არ მოიავადმყოფე, არ გაგიკარებს ის ბებერი და ვერც იმ წიგნსა ნახავო. მეც ისე მოვიქეცი: შევიხვიე თავი და ისე მიმიყვანა ამ დიაკვანმა ბებერთან. ბებერმა დამაჩოქა, პატარა წიგნი დამადო თავზე და ბუტბუტი დაიწყო. გულის ფრიალის ლოცვას ამბობდა თურმე. მორჩა ბუტბუტს თუ არა, პატარა წიგნი ამაცალა თავიდან, წინ დამიდო გადაშლილი და თითონ გავიდა მეორე ოთახში გამხმარ ბალახის გამოსატანად, რომელიც მოდუღებული უნდა მესვა. ვიდრე ბებერი გამოვიდოდა, დავაცქერდი წიგნს და, წარმოიდგინეთ, შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი“ აღმოჩნდა. თავი და ბოლო, როგორც შევნიშნე მთელი ჰქონდა, მხოლოდ ხელთნაწერი საკმაოდ გახუნებულიყო. წიგნების ბოლოში ცალკე ოთხი ასო ეწერა მგონი **ჩუნე** თუ **ჩფნე** (1455 თუ 1555), სწორედ ვერ გავარჩიე, რადგან ვჩქარობდი. თითონ წიგნი ერთი ციდის ტოლა იქნებოდა, ტყავ გადაკრული, ხის ყდა ჰქონდა, ჭიებისაგან ნახევრად დაღრღნილი და დაფუტურავებული. ძალიან წვრილი ხელნაწერი იყო და ორი-სამი სურათიც შევნიშნე წიგნში.

მეტი არ დამცალდა. ბებერი მალე გამოვიდა და რა დამინახა, წიგნსა ვსინჯავდი, დიაკვანს დიდად უსაყვედურა და მეც გაჯავრებით მითხრა: „აკი მითხარ, კითხვა არ ვიციო? რახან ხეში სენთა-მძლეველი წიგნი ამიფურცლე და ხელი შეახე, ჩემი წამლობა შენზე აღარ გასჭრის და მიბრძანდითო“. წიგნი აიტაცა, პატარა ნაალ ქვეშ ამოსდო და ზედ დააჯდა. „ვიდრე ცოცხალი ვარ ამ წიგნს ვერავინ წაიკითხავს და მე რო მოვკვდები, ასევე მოიქცევა ჩემი ქალიო“. ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე; ცოტა ხანს გადავსინჯავ მეთქი, ხან დავემუქრე, მაგრამ ამაოდ. რაღა მექნა: ლოცვისთვის მადლობა გადაუხადე, თავისი გასამრჯელო მივეცი და გამოვედ. დიაკვანს ვუთხარ, თუ ამ ბებრის სიკვდილს შეესწრო, სადავითოში ეგ წიგნი სთხოვე და თუ არ დაგანებოს, როგორმე ჩაიგდე ხელში და მე ერთ თუმან მოგცემ მაგ წიგნში მეთქი.

მას შემდეგ გავიდა ხუთი წელიწადი და მხოლოდ წელს წაველ იმ სოფელში და, სამწუხაროდ, ვერა გავიგერა იმ წიგნისა. დიაკვანიც და ის ბებერიც გარდაცვლილან, ქალი ქიზიყში გათხოვილა და არავინ იცის, რომელ სოფელში. ასე დავკარგე, ჩემის აზრით, ძვირფასი წიგნი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი, შეიძლება, უფრო უკეთესი წიგნი ობდება სადმე ნესტიან სადგომში. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი საზოგადოსენი სჭირთ ამისთანა ძველი წიგნების პატრონებს. შიგნი-შიგან დაკეტილში ინახავენ და არავის აჩვენებენ. სჯობია არც იყოს რა, ობი და სინესტე აღპობს და აფუჭებს ამ წიგნებს. სრულებით სხვანაირი შეხედულობისა პატივცემული კნ. მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა, სთოვ. სანიორის მემამულე, რომელმაც დიდის სიამოვნებით მიმიღო და სრულიად უცნობს მათის ოჯახისა მიჩვენა, თუ რამ ძველი წიგნები ჰქონდათ. კნეინა მ. გ. ავალიშვილისა ძველ შესანიშნავ ერისთვიანთ ოჯახიდან ბრძანდება. თ. გიორგი (კაზო) ერისთავის ქალია და კაზოანთ ოჯახი ხომ ძველის ხელნაწერ წიგნებით და ძველებურ ძვირფას სამკაულით განთქმულია. ამ ავალიანთ სახლში ვნახე შემდეგი ძველი წიგნები:

ა) **ქართული ხელნაწერი ლექსიკონი.**

ბ) **ხუცური წიგნი ზედ წარწერით ეს წიგნი ყოველად სამღვდელთ ეკლოგისა არის.**

ნება არ მისცა გაყიდვისა იმ მოსაზრებით, რომ სახლისათვის ნახმარი აგური, როგორც ტფილისის ნაცვალმა სურგუნოვმა გადმომცა, ირაკლი მეფის დანგრეულ სასახლიდგან წაგილიათ და გიხმარებიათ და ამიტომ ნება არა გაქვთ, გაჰყიდოთ. ლაპარაკი არ უნდა, ციციანოვი მეტის-მეტ თავხედობას იჩენდა. გინდაც მარიამ დედოფალს ირაკლი მეფის სასახლიდან ეხმარა აგური, ირაკლი ვიდა იყო მარიამისთვის—შორეული და უცხო თუ მახლობელი ნათესავი, მამამთილი, მამა მეფის გიორგისა. გიორგი მეფის მოვილეობაც ეხლა მოიგონა ციციანოვმა. თქვენს განსვენებულს მეუღლეს მეფე გიორგის ტფილისელი ვაჭრებისა 20,000 მანეთი ჰმართებს და უნდა გადაიხადოთო.

დედოფალი მარიამი აშკარადა ჰხედავდა, რასაც უმზადებდა რუსეთის მთავრობა და თითონაც გულხელ დაკრეფილი არ იჯდა. მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, რისთვის მოეჰიდნა ხელი და რა ღონე ეღონა. ბოლოს, ბევრის ფიქრისა და მეცადინეობის შემდეგ, გადასწყვიტა დედის რჩევით ფშავ-ხევსურეთში გაპარვა მთელის ოჯახობით და იქ თავის შეფარება.

ფშავ-ხევსურეთი, როგორც ვიცით, უძველეს დროიდანვე მეფეთა საუკეთესო მხედრობას წარმოადგენდა და მთელის სამეფოს პატივი და სიყვარული დაიმსახურეს ამ მთის არწივებმა. მთის ბუნება გმირს დევებს უმზადებდა მაშინდელს საქართველოს, რომელნიც მეფეთა პირველ დაძახებაზე გამოდიოდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ საქართველოს მტერთ. დედოფალიც საქართველოს ამ უშიშარ შვილების თოვლ-ყინულიან კლდეებში აპირებდა თავის შეფარებას და იმედიც უნდა ჰქონოდა, რომ ისინი მედგრად დაიცავდნენ დედოფალს და არავის დაანებებდნენ, გინდა მთლად გაეწყვიტათ. ეს იყო უკანასკნელი იმედი და ფარ-ხმალი დედოფლისა.

ასეთი აზრი და მეცადინეობა მაშინდელს დროში შეუძლებელი არ იყო. ბატონიშვილმა ვახტანგმაც ხომ ერთხელ იქ შეაფარა თავი. რუსეთის მხედრობა გენ. ტუჩკოვით ბევრს ეცადა მის იქიდან გამოძევებას, მაგრამ ვიდრე ვახტანგი თითონ არ გამოვიდა მთებიდან საპატიო პირობებით, ფეხიც ვერავინ მოაცვლევინა.

ალბად ასე ეწადნა მარიამ დედოფალსაც. გადასწყვიტა თუ არა მარიამმა ფშავ-ხევსურეთში გაპარება, მყისვე მზადებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა წერილი მისწერა თიანეთის მოურავს დიმიტრი ჩოლაყაშვილს. შეატყობინა თავისი განზრახვა და სთხოვა გამოეგზავნა მისთვის საჭირო ხალხი და ცხენები. ამისთვის დედოფალი ჰპირდებოდა საჩუქრად 1,000 მანეთს და კიდევ დიდს შესაწირავებს ლაშარის წმინდა გიორგისათვის. სთხოვდა აგრეთვე გამოეგზავნა 10—12 მამასახლისი სარჩევლად, თუ სად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა დედოფლისათვის შეხიზნება. მაგრამ დედოფალი პასუხს ვერ ეღირსება, ლახნება-კი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ თვით ტფილისში შეუდგნენ გაპარების მოწყობას დედოფლის მახლობელნი. ესენი იყვნენ: სიძე დედოფლისა ასლან ორბელიანი, ზურაბ ევანგულოვი, ქაიხოსრო სავანელი, ანდუყაფარ მანსუროვი, ქაიხოსრო გამყრელიძე, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი. 17 აპრილს უკვე ამათ შეჰფიცეს ჯვარსა და სახარებაზე დედოფალს, რომ მალულად და საიდუმლოდ გააპარებდნენ და მაშინვე შეუდგნენ საქმის მოწყობას. ასლან ორბელიანს უნდა ეშოვნა ექვსი ცხენი, ევანგულოვს—ოთხი, დანარჩენთ კიდევ—7-8 ჯორი და ღამით მთელის სახლობით გაეპარებინათ ტფილისიდან დედოფალი. ხევსურეთში დედოფალს ჯერ-ჯერობით ზაზა ევანგულოვის ძმასთან, დავითთან უნდა შეეფარებინა თავი, რომელსაც საგურამოში უნდა მიეგებებინა დედოფლისათვის საჭირო ცხენები და ხალხი. დედოფალი სამზადისს შეუდგა, მთლად ჩაიბარგა და თან უნდა წაეყვანა მთელი ოჯახობა, გარდა ორის მცირე წლოვან ბავშვისა, რომელთაც დროებით ტფილისში სტოვებდა.

ასეთს სამზადისში იყო დედოფალი და თან მახლობელთ ეუბნებოდა, ფშავ-ხევსურეთში იმიტომ მივდივარ, რომ იქიდან თხოვნა უნდა გაუგზავნო იმპერატორს, ვაუწყო ჩემი გაჭირვება და ვთხოვო, რომ საქართველოში დამტოვოსო. სანამ პასუხს მივიღებდე, იქ მოვიცდი ორ-სამ თვესაო.

ვიდრე დედოფალი სამზადისში იყო, ციციანოვს უკვე გაგებული ჰქონდა ყველაფერი. საღამოთი, როცა ყველაფერი მზად იყო და ანდუყაფარ მანსუროვსა და მის მსახურს ცხენები და ჯორები მიჰყავდათ ავლაბარში დედოფლისთვის, გზაზე ციციანოვის მიერ დაყენებულმა ყარაულებმა დაიჭირეს და ყველაფერი შეატყობინეს რუსეთის მხედრობას. მარიამთან მაშინვე გაჩნდა ასლან ორბელიანი და მოახსენა, ყოველივე ჩვენ განძრახვაზე ხელი უნდა ავიღოთო, ჩვენი მეცადინეობა ამაოა და სამუდამოდ დავიღუპებით თქვენცა და ჩვენცაო. დედოფალი, რომელიც უკვე მზად იყო წასასვლელად, გაშრა და აღარ იცოდა რა ექნა. მისი განზრახვანი გამომჟღავნდა, ქალაქიდან ეხლა აღარავინ გაუშვებდა და ციციანოვის ტყვედ უნდა დარჩენილიყო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი 2000 მანეთს ჰპირდება, ვინც კი ცხენებს უშოვნის და ტფილისიდან გააპარებდა. მაგრამ ამაოდ, შველა არსაიდან იყო. თვით სიძე ასლან ორბელიანი არწმუნებდა, რომ ყოველივე ცდა ამაო იყო და ტფილისიდან უკვე ველარსად წავიდოდა დედოფალი. დედოფალმა ჯავრი გულში ჩაიკლა, გავაჟკაც-გაქვაკლდევდა და მოემზადა, რომ მოსალოდნელ უბედურობას გმირულად დახვედროდა.

გაიგო თუ არა ციციანოვმა დედოფლის გასაპარებლად მზადება, არც აცივა, არც აცხელა და განკარგულება გასცა, მეორე დღესვე რუსეთის გზისთვის გაეყენებინათ დედოფალი. ტფილისიდან გაყვანა და კავკავამდის მიცილება ციციანოვმა გენერალ-მაიორს ივ. პეტ. ლაზარევს მიანდო. მაგრამ ვიდრე ჩვენს მოთხრობას განვაგრძნობდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით ლაზარევზე.

**ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კითხვა მიგება სარწმუნოებისა.
დ) დიდი ჟამნი ხელნაწერი.
ე) დაბადება ბაქარის დროისა
ვ) ჭეშმარიტი მესია. 1801 წ. ყოვლ. სამღვდელო ევლოგის წიგნთაგანი.
ზ) ლოცვანი ხელნაწერი.

ყველა ეს წიგნები თავისისავე სურვილით კნ. მ. გ. გადმომცა და დამავალა, სადაც უკეთესია, იმ საზოგადოებას გარდაეცით, ამ სამი კვირის წინად ეს წიგნები გარდავეცი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს ე. ს. თაყაიშვილს, გარდა ქართულ ლექსიკონისა, რომელიც ჯერეთ მჭირდება მე და მასაც დროზედ გარდავცემ. ამავე ოჯახში კნ. მ. გ. მაჩვენა ძველი ვერცხლის თასი ანუ ჯამი შემდეგის ზედ წარწერით: „**ქ. საქართველოს მეფის ასულის ელენეს ზივთისა: მისხალი: ნ გ**“, როგორც თვით კნეინამ გადმომცა, ეს ვერცხლის თასი არის ნაქონი მარიამ ბატონის შვილის დედის ელენესი; ეს ელენე მეფის ასული თ. გიორგი ანუ კიაზო ერისთავის დიდი დედის დედა არის ასე: კიაზოს დედა იყო ნინო, ივანე მაღხაზის ძე ანდრონიკაშვილის და, ამ ნინოს დედა ყოფილა მარიამ ბატონიშვილის ასულის და, ამისი და ელენე მეფის ასული. თითონ თ. კიაზო ეხლა 86 წლისაა თურმე. როგორც თითონ კნ. მარიამ გიორგის ასულმა გადმომცა, ეს ვერცხლის თასი სურს შესწიროს საისტ. საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მადლობის ღირსია როგორც კნ. მ. გ. ავალიშვილისა, ისე მისი შვილი ვასილ.

სასურველია, სხვებმაც ამათ მაგალითს მიჰბაძონ და ვის ოჯახშიაც ჩვენის ისტორიისათვის გამოსადეგი რამ ძველი წიგნი ან განძი მოიპოვება. გამოუგზავნონ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას (მოსკოვის ქუჩა, № 4, ტფილისი). ჩემის აზრით, ამ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევს ამ საზოგადოებას სოფლისა თუ ქალაქის სამღვდელოება, რომელსაც ყველგან მიუწვდება. სამღვდელოების ჩაგონებით შეიძლება ბევრი ძველი ნივთი მოუვიდეს საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

**ზ. ჩხიკვაძე.**

# უცნაური ბრალდება*)

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

გუშინ „დროების“ მესვეურმა უძღვნა საკამათო მეთაური ჩემს პატარა წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო „ზაკავკაზიეში“ ამ სათაურით: „Печальное нововведеніе“. სამწუხაროდ, ავტორმა მისცა თავისს წერილს ისეთი პოლემიკური ხასიათი, თითქო პირადად იყოს ჩემზე გაბრაზებული, და დამაბრალა ის, რაც აზრადაც არ მომსვლია.

უპირველესად ყოვლისა მან გვერდი აუქცია ჩემის წერილის შინაარსის გადაცემას, ხოლო ეს გადაცემა ძლიერ საჭირო იყო, რადგანაც თვითონ გაზეთმა რამდენიმე ხნის წინად მხოლოდ ის გამოაცხადა, რომ თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ქართული ენა ძლიერ შეავიწროვესო. რაში მდგომარეობს ეს შევიწროება, არც „დროებამ“ და არც სხვა გაზეთებმა არ აღნიშნეს, არ განმარტეს. ჩვენ დაწვრილებით გავაცანით ქართველს საზოგადოებას ეს შევიწროება რუსულს ენაზე, რადგანაც გვინდოდა, რომ გვემოქმედნა სამოსწავლო მთავრობაზედაც, რომლის ხელთ არის ყოველგვარი ცვლილება. აი ფაქტიური მხარე ამ ცვლილებისა. შარშან მეორე გიმნაზიაში ქართულს ენას ჰქონდა დათმობილი ოც და ოთხი გაკვეთილი. ეს გაკვეთილები დილით იყვნენ დანიშნულნი, როგორც ყველა სხვა სავალდებულო საგნების საათები. ამასთან ყველა კლასს ცალკე გაკვეთილები ჰქონდა. პირველი სექტემბრიდან ქართული ენის გაკვეთილები გამორიცხეს შტატის გაკვეთილებიდან, გააუქმეს დილაობით და გადიტანეს მეექვსე გაკვეთილებზე, რომელიც შარშან სრულიად არ არსებობდა, ორ-ორი კლასი ერთად შეაერთეს, ასე, რომ უფროსს კლასშიც კი ამ მეექვსე გაკვეთილზე ერთი მასწავლებელი ასწავლის ორს სხვა და სხვა განყოფილებასა. რიცხვი გაკვეთილებისა თორმეტამდე ჩამოიყვანეს, ერთი ორად შეამცირეს.

აღვნიშნე რა ანტინაციონალური ტენდენცია ამ ცვლილებისა ღავსძინე, რომ წინადაც ყოვლს ამ გვარს ცვლილებას ჰქონდა და ახლაც აქვს გადაგვარება და გარუსება ქართველი მოზარდი თაობისა, მისი გარდაქმნა მიმდევრებად რუსი ხელხის კავშირისა (воспитаніе агентовъ союза русскаго народа). მაგრამ სრულიად სხვა შედეგი მოსდევს ამ გვარ ანტინაციონალურს აღზრდასა მეთქი. მოწყვეტილნი სამშობლო ენას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, ისტორიას, აწმყოს და წარსულს თავისი ერისას, ქართველი ყმაწვილები კი არ რუსდებიან, ინტერნაციონალდებიან და ადვილად ხდებიან მიმდევრებად ფანტასტიური ინტერნაციონალური გეგმებისა, პლანებისა, ხდებიან მოწაფეებად იმათი, ვისაც სურს აწინდელი კაცობრიობის მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად ამოფხვრან, დაამხონ. ამას დიდ დანაშაულობად სთვლის მთავრობა, სასტიკად დევნის ამ რევოლიუციონერებს, მაშინ, როდესაც მათ მოვლენაში თვითონვეა დამნაშავე მეთქი.

სწორედ ეს ადგილი უნდა ჰქონდეს სახეში მეთაურის ავტორს, როდესაც ამბობს, რომ გოგებაშვილმა მათრახი გადაუჭირა რევოლიუციონერებსაო. თუ აქ მათრახია მოქნეული, იგი დამიზნებული უნდა იყოს სრულიად სხვა მხრის წინააღმდეგ. რევოლიუციონერებს კი მათრახს როგორ ვაკადრებდი, როდესაც ისინი თავ-განწირულნი იბრძვიან, იტანჯებიან და იხოცებიან თავისი იდეალის განახორციელებლადა. თუმცა მე პირადად არც წინა ვყოფილვარ რევოლიუციონერი და არც ახლა ვარ, მაგრამ დიდს პატივსა ვცემდი ყველას, ვინც-კი გულწრფელად და თავგამოდებით ემსახურებოდა საუკეთესო მომავალს ერისასა თუნდა სარევოლიუციო გზით. მე ვიყავი და ახლაც ვარ წმინდა ევოლიუციონისტი, სისტემატიური რეფორმების მონატური, მიმდევარი და მქადაგებელი, როგორიც იყვნენ პედაგოგები ევროპისა: კომენიუსი, პესტალოცი, ჟაკოტო, დისტერვეგი და რუსეთში უნიჭიერესი პედაგოგი უშინსკი, და სხვანი. ყველა ამ პედაგოგებთან ერთად მეც იმ აზრისა ვარ, რომ პედაგოგიური პრინციპი თანდათანობით განვითარებისა საუკეთესო მეთოდია ხალხის პოლიტიკურ აღზრდისათვისაც, მის ამაღლებისათვის, კეთილდღეობისათვის. ესეც რომ არ იყოს, მე რუსეთში რევოლიუცია სრულიად არა მწამს, შეუძლებლად მიმაჩნია. მეტად მარჯვე მომენტი დადგა რევოლიუციისათვის რუსეთში ხუთის წლის წინად, როცა იგი ისე ძლიერ დაამარცხა პატარა იაპონიამ; მაგრამ რა გამოვიდა? ბევრი სისხლი დაიღვარა, ცრემლის ნაკადულებმა იდინა, აუარებელი ხალხი იქმნა სიკვდილით დასჯილი, და ამოდენა მსხვერპლმა ცუდად ჩაიარა, ვერა მოახერხეს-რა: ვერას მოახერხებენ ამავე გზით ვერც ახლა და ვერც შემდეგში, რადგანაც მეორედ იმისთანა მომენტის დადგომა ძლიერ ძნელი მოსალოდნელია, და ბიუროკრატიაც მეტად გამოიცადა რევოლიუციის ჩაქრობაში.

ამ უიმედობას მეტად აძლიერებს ის ფაქტი, რომ თითქმის მთელი რუსეთი შესდგება გლეხებისაგან და ამ გლეხებმა ძლიერი მოძრაობის დროს რა ჩაიდინეს. რამდენიმე მემამულე მოჰკლეს, აიკლეს, სახლკარი გადაუწვეს და საწყალი ურიების პოგრომები მოახდინეს, და ამის შემდეგ სრულიად დაუმშვიდნენ, თუმცა მათ სასარგებლოდ დღემდინ იოტის ოდენა არაფერი გაუკეთებიათ მთავრობასა. აი ეხლაც სათათბიროში ყველა რუსი გლეხი მარჯვენა ფრაქციებს ეკუთვნიან, თუმცა კუჭი ჯერ ისევ ცარიელი აქვთ. დაიცადეთ, ამ ცარიელს კუჭს გაუძღობენ გლეხებს ციმბირისა, შუააზიისა, კავკაზისა და საქართველოს მიწებითა, და მაშინ ყველა გლეხები შევლენ წევრებად რუსის ხალხის კავშირში. მართალია, რუსეთის სოციალ-დემოკრატია ძლიერია თავისი ორგანიზაციით; მაგრამ მუშათა რიცხვი მეტად მცირეა და ვერაფერს გააწყობენ.

ასე, რომ ჩვენს ხალხს, საზოგადოებას და ინტელიგენციას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს რუსეთის რევოლიუციის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თავსაც ვატყუებთ და ხალხსაცა, და ახლანდელს ტანჯვა-წვალებას ჩვენის ქვეყნისასა უფრო კიდევ აუტანელს გავხდით. პირველმა მახინჯმა რევოლიუციამ ჩვენს ხალხს ნახევრობით სული ამოხადა, მეორეს შეუძლიან სრულიადაც გააქროს, და ამაში დამნაშავენი ჩვენ ვიქნებით. ერთად ერთი გზა მდგომარეობის და ცხოვრების გაუკეთესებისა და წინსვლისა არის სისტემატიური რეფორმები. მაგრამ ეს რეფორმებიც მხოლოდ მაშინ იქნებიან შემოღებულნი, როცა ყველა მარცხენა პარტიები „სათათბიროში“ შეთანხმდებიან და საერთო **ტაქტიკით** იმოქმედებენ.

ოპორტიუნიზმი პროგრამისა—სამაგლობაა, მაგრამ ოპორტიუნიზმი ტაქტიკისა სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც კი უნდა მოხდენა სანატრელი ცვლილებისა. რადიკალ გამბეტას რომ ტაქტიკა არ შეეცვალა რესპუბლიკის დაარსების დროს საფრანგეთში და ამით თავის მხარესაკენ არ გადაეყვანა ძლიერი ბურჟუაზია, ვინ იცის ეხლა მეოთხე ნაპოლეონი ყოფილიყო ფრანგთა მბრძანებელი. ეხლანდელი ნიჭიერი მთავარ-მინისტრი საფრანგეთისა ბრიანი წინად მომხრე იყო პროლეტარიატის დიქტატურისა, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ დიდი სისხლის ღვრით, მერმე კი მტკიცედ დაადგა იმ აზრსა, რომ მუშათა სრული კეთილდღეობა, თანასწორობა, აყვანა იმ სიმაღლემდე, რა სიმაღლეზედაც სდგანან მაღალი კლასები, შეიძლება სავსებით განხორციელდეს საფრანგეთში სისტემატიური სოციალური რეფორმებითაო. და სწორედ ამ ტაქტიკის შეცვლამ გახადა იგი მთავარ მინისტრად და რეფორმატორად. ამას ვამბობ უფრო სათათბიროს ჩვენებურის დეპუტატების საყურადღებოდ, რომელნიც ძლიერ ერიდებიან ტაქტიკის შეცვლას მეტადრე ეროვნულს საკითხებში...

ერთს წამს დავუბრუნდეთ კიდევ მოკამათეს. იგი მესამოცე წლების მოღვაწეებს უკიჟინებს უპროგრამობას. ეს კიჟინი უსაფუძვლოა. მათ ჰქონდათ ფართო პროგრამა, კარგად შემუშავებული და განსაზღვრული. აიღეთ თუნდა ჩემი წერილი: „რახი ვიყავით გუშინ?“ რომელიც ჯერ ისევ 1880 წელში დაიბეჭდა ჯერ ჟურნალ „ივერიაში“ და მერმე ცალკე გამოცემად. აქ ამოიკითხავთ მოთხოვნას ყველა საჭირო რეფორმებისას ფინლიანდიის ავტონომიიდან. საქართველოსათვის, არამც თუ პროგრამა ჰქონდათ დროის შესაფერი, კიდეც ანხორციელებდნენ ამ პროგრამას: დაარსეს ბანკები ტფილისში და ქუთაისში, წერა-კითხვის საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, ორი საშუალო ეროვნული სასწავლებელი და ყველა ის საზოგადო დაწესებულება, რომელნიც ახლა არსებობენ. იმათ კი, რომელნიც უპროგრამობას და უსაქმობას უკიჟინებდნენ წინადაც და ახლაც უკიჟინებენ, არაფერი არ დაუარსებიათ, თუმცა იქმნება ფართო პროგრამა კი ჰქონდათ, ან აქვთ ჯიბეში. სამღვდელო ბანკის დაარსებაც კი ვერ მოახერხეს თუმცა ძნელი არ იყო. მართალია ვერ შევქმენით მესამოცეებმა ორგანიზაციას და ეს იყო. სუსტ მხარე ჩვენის მოქმედებისა, მაგრამ ვერც ჩვენმა ულმობელმა კრიტიკოსებმა ისახელეს ამ მხრივ თავი. მათაც არავითარი რეალური მომქმედი ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა დაარსეს და გაჩარხეს ძლიერი ორგანიზაცია, და აკი კიდევაც გაჰყავდათ და გაჰყავთ თავისი, თუმცა მათ თანაუგრძნობს მხოლოდ მცირედი ნაწილი ქართველობისა.

**იაკობ გოგებაშვილი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად. პასუხს შემდეგ გავცემთ. მაგრამ აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი გოგებაშვილი გვერდს უხვევს საკამათო საგანს და სულ სხვა საგანზე ლაპარაკობს. რედაქ.


# განცხადებანი

საუცხოვო ახლად მოწყობილი

## სახელოსნო მკერვალ ქალებისა

ვიკვეთავთ ყოველნაირ ტანისამოსს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან დაკლებულ ფასებში, სუფთად და საჩქაროდ. ადრესი: ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩის კუთხეში, სომეხთა სემინარიის პირდაპირ, № 2, სახლი თუმანოვისა—ეკ. იმნაძესთან. (6—527—1)

## იყიდება

ერთი ნაჭერი მიწა საბურთალოზე, ყოფილი გაბაშვილისა, ზომით 506 ოთხკ. საჟ., ძალიან ხელ-მისაწვდომ ფასში. იკითხეთ: ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩაზე. თუმანოვის სახლში, № 2, ეკ. იმნაძესთან. (3—526—1)

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ქრომოლიტოგრაფიაში

## „ამხ.-ბა ლევიტ და მესხიე“

შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფიო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადაზღვევო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაგ.—6)

კოსმეტიკის და პარფიუმერიის ახალი რამეები

## დუხები ნიცის ყვავილებისა

შამპუ, კრემები, საპონი, პუდრა, ოდეკალონი, ლოსიონი.

## სანადერმა ნიცაში

**იყიდება ყველგან.**

განყოფილება რუსეთისთვის; Москва, Никольская, д. Греческаго Монастыря.

(Л. Метцль и К. N 141702) (5—6.—3)

## ღვინო ლამპებისა და ჭურჭლეულობის

(ნერსესოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე).

## დარჩო იაგორის ძის ებანოვისა.

ვაჭრობა ბროლისა, ფაიანსისა, ფაიფურისა და მელხიორის საქონლით, აგრეთვე სპილენძისა და ემალ-გადაკრულ ნაწარმოებით, ლითონეულით და სამზარეულოს ნივთებით. სამოვარი ყოველ-გვარ ფასონისა.

## ფასები ხელმისაწვდენია.

(2—ზალ.—1)

## სამანუფაქტურო ვაჭრობა ივ. გრ. კაჭკაჭოვისა

20 ოქტომბრიდან გაიხსნა ვაჭრობა ახალ შენობაში სოლოლაკის ქუჩაზე, „პროვოდნიკის ამხ.-ბის“ გვერდით, აზოვ-დონის ბანკის ქვეშ (ამირალოვისეულ მაღაზიაში). თამამშევის ქარვასლიდან ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ საქონელი განახლდა. მიღებულ იქმნა მრავალი სასეზონო საქონელი. აბრეშუმის, მატყლის, მაუდის, ბამბის და ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლისათვის. მაუდი საუკეთესო თვისების მოსწავლეთათვის და სხვა და სხვა პლედები.

**მ რ ა ვ ლ ა დ ა რ ი ს:**

მაუდის მოსახვევები, საბნები პლიუშისა, ბაიკისა, პიკესა, ატლასისა და ქიშმირისა.

**ტილოს საქონელი და სუფრეული**

საუკეთესო ფაბრიკისა, გარდინის ტიული, ბლიუშის სუფრები, ხავერდი, პლიუში და მანჩესტერი. აუარებელი ფერადი. სატინი, ბატისტი, ბამბაზეა, ნუვოტე და ჩითი.

საწყობი ბამბის ქსოვილებისა, თეთრი და ფერადი საცვლებისთვის და ბალიშის პირები ცნობილ ფირმებისა.

**იმედი მაქვს, რომ ჩემი საქონელი ყოველ კონკურენციის გარეშე იქნება**

## ფასები შეუვაჭრებლად

შაბათობით გაიყიდება ნაჭრები. (5—6.—4)

**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ **1 მანეთიდან**

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაგ.—7)

## პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

## ამხანაგობა რიგაში

სატფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალოჩით:**

**რეზინის საქიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),**

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

„**პროვოდნიკი**“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე